საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/42

05 სექტემბერი 2012 წ ქ. ბათუმი

რსუ – ს რექტორის „ 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და საგუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ “ 2012 წლის 23 ივლისის №01–08/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-56-ე, 59–ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მ. მიქელაძის მოხსენებითი ბარათის (2012 წლის 30 აგვისტოს №2813) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა გადაყვანა/აღდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 23 ივლისის № 01 – 08/29 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

ა) 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტატუს შეჩერებული/აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტების აღდგენის ვადები განისაზღვროს 30 ივლისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით

2. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**